ბრძანება:**ბ01.01203092**
თარიღი:**04/11/2020**
პინი:**5987**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

„ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება III მიკრორაიონში N34 კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.034) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 თებერვლის N1-400 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 და მე-9 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N012027756-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ქ. თბილსში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება III მიკრორაიონში N34 კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.034) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 თებერვლის N1-400 ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილსში, დიდი დიღომი, III მ/რ კორპ. N34, N37-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი N37-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.147, ნაკვეთი N5/34) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „ქალაქ თბილსში, დიდი დიღომი, III მ/რ კორპ. N34, N37-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი N37-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.147, ნაკვეთი N5/34) მრავალფუნქციური შენობის (კომერციული, საცხოვრებელი) განსათავსებლად, განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ-1=0.7, კ-2=5.2“

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N012027756-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ

დასკვნასთან ერთად.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი